

აბაშიძე ასლან იბრაჰიმის ძე



აბაშიძე ასლან

აბაშიძე ასლან იბრაჰიმის ძე (დ. 20. VII. 1938, ბათუმი), სახელმწიფო და პოლიტიკური მოღვაწე. გენ.-მ. (1995). მემედ აბაშიძის შვილიშვილი.

დაამთავრა ბათუმის შოთა რუსთაველის სახ. სახელმწ. პედაგოგიური ინ-ტის ისტ.-ფილოლ. ფაკ-ტი (1962) და თსუ სახალხო მეურნეობის დაგეგმვის ფაკ-ტი (1984). 1963-84 აჭარაში იმყოფებოდა საზოგადოებრივ და სამეურნეო სამუშაოზე. 1984-86 იყო აჭარის არასაყოფაცხოვრებო მომსახურების მინისტრი. 1986-89 საქართვე. საყოფაცხოვრებო მომსახურებისა და კომუნ. მეურნეობის მინისტრის მოადგილე, პირველი მოადგილე; 1989-91

კონცერნ „საქყოფსერვისის“ პრეზიდენტი.

1991 მარტიდან აჭარის ავტ. რესპ. უზენაესი საბჭოს თავ-რის მოვალეობის შემსრულებელი იყო, 1991 ივლისიდან 2004 მაისამდე - თავ-რე. 1992 ოქტ-იდან საქართველოს რესპუბლიკის პარლამენტის თავ-რის მოადგილე. 1992-იდან სრულიად საქართველოს აჭარის აღორძინების კავშირის თავ-რე.

ამჟამად ცხოვრობს რუსეთში.
